პროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

პროგრამის დასახელება	**მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება**
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი	**01 08**
პროგრამის განმახორციელებელი	**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მერიის ადმინისტრაცია**
პროგრამის აღწერა და მიზანი (მიღწეული წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები)	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 101-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №319 დადგენილების, ასევე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2025 წლის გეგმის შესაბამისად ,მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების, შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების, მათთვის დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულების ხელშეწყობის მიზნით, ტრენინგ-საჭიროებათა კვლევის საფუძველზე, განხორციელდა დამატებითი სასწავლო მოდულების შესყიდვა (სულ 9 მოდული). სულ დაგეგმილია 175 საჯარო მოხელის გადამზადება. ამ ეტაპზე საჯარო მოხელეთა გადამზადების პროცესი დაწყებულია. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ტრენინგები სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ 2 მოდულში და გადამზადდა 28 საჯარო მოხელე. ტრენინგზე დასწავლილი უნარების ტრანსფერის უზრუნველყოფის მიზნით, ტრენინგ-კურსის თითოეული მოდული შეთანხმდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სფეროს წარმომადგენლებთან, აღნიშნულის გათვალისწინებით განხორციელდა ტრენინგის შინაარსის მონაწილეთა რეალურ სამუშაო შინაარსთან კავშირი, რამაც ხელი შეუწყო მონაწილეების მიერ რეალური სიტუაციის გამკლავებისთვის აუცილებელი გამოცდილების შეძენას.

პროგრამით გათვალისწინებული ქვეპროგრამები და ქვეპროგრამის ფარგლებში არსებული ძირითადი ღონისძიებები	**წლიური გეგმა**	**წლიური საკასო შესრულება**	**შესრულება პერიოდის (%)**	**შენიშვნა**
მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება - 01 08	80,000	75,155	94%	
სულ პროგრამაზე მიმართული და გაწეული ფულადი სახსრები	**80,000**	**75,155**	**94%**	

დაგეგმილი საბოლოო შედეგი	დანერგილია საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების უწყვეტი სისტემა	**მიღწეული შედეგი**	დანერგილია საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების უწყვეტი სისტემა

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	**დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი**		**მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი**		**განმარტება**
	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
პროგრამაში ჩართული საჯარო მოხელეების რაოდენობა	150	150	151	-1%	
(გენდერული, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	ქალი		118		
	კაცი		33		